ნოდარ დუმბაძე

საბავშვო ლექსები

აბა ლელია ლელია...

საგამომცემლო სახლი „ტრიასი“

„საბავშვო ლიტერატურის საგუძველთა საგუძველი ეს ამის უსაზღვრო უბრალოება, სიწმინდე, ეაძეკვირვალობა და ეულთახდილობა, ეაზავეებული იუმორით, ცრემლებით, სიცილით, ბავშვური ეორძნობებისა და აღქმის ეულუბრუ-ვილობით. მე ასე მეონია."

ნოდარ დუმბაძე

ბავშვებო, ამ წიგნში თავმოყრილ საბავშვო ლექსებს ნოდარ დუმბაძე ჯერ თავისი ქალიშვილების — მანანასა და ქეთინოსთვის, მერე კი, როცა ბაბუა გახდა, თავისი შვილიშვილების — ნოდარიკოსა და ლევანიკოსთვის წერდა. მაგრამ, ამავდროულად, თითოეულ ლექსში ყველა თქვენგანის მიმართ უსაზღვრო სიყვარული ჩააქსოვა და საჩუქრად მოგართვათ.

ნოდარ დუმბაძე XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერალია. მისი ნაწარმოებები ნათარგმნია თითქმის ყველა ენაზე და მსოფლიოს სამოცდარვა ქვეყანაშია გამოცემული. მისი თითოეული პერსონაჟი ერთნაირად საყვარელია როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკითხველისთვის.

მისი გმირები ბევრჯერ შეგხვდებიან ცხოვრების მანძილზე, რადგან იგი წერდა ყველასთვის და ყველაზე — ბავშვებზე და ბავშვებისთვის, მოზარდებზე და მოზარდებისთვის, ახალგაზრდობაზე და ახალგაზრდობისთვის, უფროსი თაობისთვის, ყველასთვის, ვისთვისაც სიკეთე, სიყვარული, სიმართლე, გულწრფელობა, ვაჟკაცობა, სამშობლოს სიყვარული და სამართლიანობა უმთავრესია ცხოვრებაში.

ნოდარ დუმბაძე არის შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი. მის სახელს ატარებს თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი.

ნოდარ დუმბაძე დაკრძალულია მისივე სახელობის და მისი ინიციატივით შექმნილ ბავშვთა ქალაქში „მზიური“.

ქეთინო

დედიკომ და მამიკომ
დამიტოვეს ქეთინო,
ასე მითხრეს: — მიხედე,
არაფერი ეტკინოს;
არაფერი გატეხოს,
არ დაკუწოს კაბები,
არ მოხატოს კედლები,
არ აბურდოს ძაფები;
დაუმალე ნემსები,
დაუმალე ღილები,

მაკრატელიც დამალე,
არ დაიჭრას ფრჩხილები;
არ გააღოს კარადა,
არ დახიოს წიგნები,
ფანჯარა თუ გატეხა,
დამნაშავე იქნები;
არ მიუშვა ღუმელთან,
არ დაგვღუპო, მანანა!

არ დახაზოს პარკეტი,
დაუმალე მანქანა;
არ ჩაუშვა ეზოში,
სურდო არვინ დამართოს,
დაუმალე ფანქრები,
ხელში დანა არ ანდო;
როცა გავალთ, კარები
გადაკეტე რაზებით,

განჯინაში ჩაკეტე
ჭიქები და ვაზები.
მეტი რა დაგიბაროთ,
თვით მიხვდები დანარჩენს...
ჰო, ასანთი არ ანდო,
თორემ ხანძარს გააჩენს.
— ჰოდა, ასე თუ გინდათ,
დედიკო და მამიკო:
არაფერი შეემთხვეს
ჩემს პატარა დაიკოს;
თუ გინდათ, რომ ქეთინოს
არაფერი ეტკინოს,
მე გამიშვით კინოში,
თქვენ მიხედეთ ქეთინოს.

მამალი

როცა ავად ვიყავი,
ვსვი და ვყლაპე წამალი
და დედიკომ საჩუქრად
მომიყვანა მამალი.
ერთხელ ძია გვესტუმრა,
ბაბუამ თქვა: — რა ვქნათო?—
ბებიამ თქვა: — სასწრაფოდ
მამლაყინწა დავკლათო.—
ჰოდა, ეს რომ გავიგე,
მამალს ხელი დავავლე
და ბებიას უჩუმრად
კარადაში დავმალე.
მერე იცით, რა მოხდა?
ბებომ შიშით იკივლა...
იმ სულელმა მამალმა
კარადაში იყივლა.



გოჭები

დასდევს კუდში მურია
ლანძღვითა და გინებით,
მთელი ეზო დათხარეს
პაწაწინა დინგებით.
გუშინ დოქი გატეხეს,
ჩაიპარნენ ყანაში,
დაერივნენ წიწილებს,
მერე ჩაწვნენ ტალახში.
ამისთანა რა მოხდა,
ამის ფასი რა ნახეს!
ერთი ვაშლის გულისთვის
ერთმანეთი გალახეს.
არ ისმენენ არაფერს
ამოდენა ყურებით,
აღარც თხოვნა ესმით და
აღარც საყვედურები.
თუ არ გამოსწორდებით,
წნელით გაიტკიცებით,
არ გრცხვენიათ, გოჭებო?
ღორებივით იქცევით.



ბეკეკა

გამიგონე ბეკეკა:
გეყო ხტუნვა-თამაში,
ხედავ? დამეტაკე და
ამომსვარე ტალახში.
ერთხელ თუ გაგებუტე,
ველარ გადამიბირებ,
მერე მთელი საათი
დაჯექი და იტირე.
თუგინდ ჩვენი მურიაც
შენი ცოდვით იწვოდეს,
შენ დედიკოს მონაწველ
რძეს არ დავლევ, იცოდე.



ყვინჩილა

საქათმის კარებს რომ არ გიღებ,
ამისთვის მემდური, ყვინჩილა?
რა გიყო, რა ჩემი ბრალია,
მეზობლის მამალმა გიჩივლა.
მოვარდა დეზების წკარუნით,
— ამ ყმაწვილს არავინ პატრონობთ?
არადა ყივილზე ეტყობა,
ყივანახველა აქვს, ბატონო.
გამოვა, შეჯდება სარზე და
გაჰკივის საზიზღარ არიებს,
უფროსებს არ ვჩივი, ბატონო,
ყივანას გადასდებს ვარიებს.

ახლავე მომშორდეს აქედან
და თავის ეზოში ირბინოს,
არადა, მიყარეთ კაკალი,
როდესაც დავაგლეჯ ბიბილოს.
მაშ რაღად მემდური, როდესაც
მეზობლის მამალმა გიჩივლა;
სულ მალე, სულ მალე მორჩები
და ისევ გაგიშვებ, ყვინჩილა.

ფისო

ფისუნია, ძილისგუდა,
ჩხუბის ღირსი არა ხარ?
მუდამ გძინავს, თაგუნამ კი
ყველაფერი გადახრა.
არა, ფისო, ჯერ არა ვარ
შენისთანას მნახველი,
ამდენ ძილში, ჩემო კარგო,
სულ გაგიტყდა სახელი.
იცი, რა თქვეს შენზე გუშინ
თემურიმ და გოგიამ?
— ასეთ კატას, ჩვენო ნანა,
სათაგური სჯობია.

თოჯინა

მთელ დღეს ასე ატარებ
უსაქმურად, ძილშია,
გუშინ წიგნი მოგეცი,
არც კი გადაგიშლია.
დაემსგავსე დათუნას
და არა ჭამ არაფერს,
აბა, პირი გააღე
და კარაქი ჩაყლაპე!
არ მიჯერებ, თოჯინა?
ნახე, თუ არ განანო
და საღამოს, ძილის წინ,
თავი თუ არ დაგბანო!





ექიმი

მოვიდა და გაგვსინჯა
ერთად მე და ბებია,
მერე უთხრა დედიკოს:
— ბავშვი გაგცივებიათ.—
მე კი სულ არ მციოდა,
თბილად მეცვა ზემოდან,
გიზგიზებდა ბუხარი
და ძალიან მცხელოდა.
ავად სულაც არა ვარ,
ან მცივანა როდი ვარ,
ძია ექიმს ეშლება —
მე ბებია ვგონივარ!

ავადმყოფი

დღეს სულ მოწყენილი ვარ,
ხასიათი წამიხდა,
იცით, ჩემი თოჯინა
ძლიერ ავად გამიხდა.
ხმას არ იღებს სრულებით,
არც საჭმელი არ უნდა,
კუ ექიმთან გაიქცა,
რა ვქნა, რომ არ დაბრუნდა?
ყოველ წუთში ოთახში
ნუ შემოხვალ, ბებია,
მოერიდე ავადმყოფს,
იქნებ გადამდებია.
ღმერთო, ნეტავ საშიში
არაფერი არ იყოს!
აქ ნუ მოსწევ პაპიროსს,
გარეთ გადი, მამიკო!

საათი

— ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, — იძახის
და კედელზე ჰკიდია,
დღე და ღამე ისრები
მიდიან და მიდიან...
მოვა დედა, შეხედავს:
— აბა, ჩემო ოთარი,
ცხრა საათი გამხდარა,
შენი ძილის დრო არი!—
და ყველანი მტოვებენ,
ჩემთვის არა სცალიათ.
მე რომ დედა მაძინებს,
სულ საათის ბრალია.

ვარადა

ვარადა, ბიჭო, ვარადა,
უკვე აღარ ვარ ავადა,
დედიკომ ძალით შემასვა
ნამლები მთელი კარადა.
კენჭივით ბიჭი ვიზრდები
ბაბუას გასახარადა,
ნოდარი მქვია სახელად,
თოფურიძე ვარ გვარადა.

ძმური სამსახური

გამიწიე, მურია,
ძმური სამსახურია,
ჩემს მაგივრად შეჭამე
კარაქი და პურია.
და თუ ხვალაც შენ შეჭამ
ჩემს მაწონს და ქადასო,
მთელი დღე რომ გაწვალებს,
მე დაგიჭერ კატასო.

კრუხი

ახლოს მისვლას არ დამაცლის,
იკივლებს და იწივლებს,
თითქოს რამეს ვუპირებდე
თავყვითელა წიწილებს.
ეს რა ავი კრუხი არის,
როგორ შემომაფრინდა!
ამის შემდეგ მე მაგასთან
ლაპარაკიც არ მინდა.
შენიაო წიწილები,
თუგინდ მითხრათ ასჯერაც,
სანამ კრუხს არ მომაშორებთ,
არავისი არ მჯერა.





სახლობანა

ნეტავ სად ხარ, შენს ძებნაში
მოვირბინე ეზო,
წამო ჩვენთან, სახლობანა
ვითამაშოთ, რეზო!
რა კარგია, ჩხუბს და ცემას
ველარ გამიბედავ,
შენ იქნები ჩემი შვილი,
მე ვიქნები დედა.
მე ბაზარში გავიქცევი,
ხელს ნუ ახლებ ამას...
არაფერი დააშავო...
დაუჯერე მამას.
მაინც ჩხუბობ? მაინც მირტყამ?
ასე იცი მუდამ.
არ გრცხვენია, უსირცხვილო,
დედას ცემა უნდა?!

ნოდარიკოს სტუმარი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
წყალში ყინვა ჩამდგარიყო,
ღობემძვრალა ჭინჭრაქასთვის
ტყეში მოცვი გამქრალიყო,
მშიერი და გათოშილი
ფანჯარასთან მომდგარიყო
და ტირილით ეძახოდა:
— გამიღეო, ნოდარიკო! —
სხვანაირად აბა განა
შეიძლება მომხდარიყო?
ის ზამთარი ღობემძვრალა
ნოდარისთან სტუმრად იყო.
სტუმრად იყო და შიმშილით
ჩიტი რომ არ მომკვდარიყო,
დღეში სამჯერ ჩაის კოვზით
რძეს ასმევდა ნოდარიკო.

ნაძვის ხის სიმღერა

მოვალ, როცა მთა და ბარი
თეთრ ნაბადში გაეხვევა,
პატარების საოცნებო
საახალწლო ნაძვის ხე ვარ.
ჩამოვიყვან თოვლის პაპას,
მხარზე ხურჯინგადაკიდულს,
ჩამოვიტან ნამცხვარს, ქადას,
ჩურჩხელას და შაქარყინულს.

მალხაზებო, მანანებო,
ვარსკვლავების სადარებო,
მოდით ჩემთან, საჩუქრები
დაგირიგოთ, პატარებო!
სიმღერებით ცა მთოვარი
გაათბეთ და გაადარეთ,
ეს ახალი წელიწადიც
ბედნიერად გაატარეთ!



დღეობა

ხვალ არის ჩემი დღეობა,
იქნება დიდი ღრეობა.
უკვე დღე არის მესამე
დანებს და ჩანგლებს ლესავენ,
ჩამოვლენ როგორც სვავები,
მშიერი ნათესავები,
ველარ გიშველით ვერაფერს,
გადასანსლავენ ყველაფერს.

ვარიკებო და ტახებო,
კარებს გაგიღებთ ახლავე,
ვნახოთ, მშიერი სტუმრები
რას შეჭამენ და დახრავენ.
ოღონდ ზეგ დილით დაბრუნდით,
ვარიკებიც და ტახებიც,
ხომ იცით, თქვენი გულისთვის
რა მაგრად გავილახები!

დედიკოს ვფიცავარ

წერა-კითხვა ვისწავლე,
აი, უკვე დიდი ვარ.
არ წამიყვანთ სკოლაში?
ბაღში აღარ. მივდივარ!..
თვლა ხომ ვიცი ასამდე,
თანაც ექვსი წლისა ვარ,
პატარა რომ ვიყავი,
განა ისევ ისა ვარ!
სულ ხუთებზე ვისწავლი,
ჩემს დედიკოს ვფიცავარ!



ბურთი და ნიკორა

ბურთმა იგორა, იგორა,
მინდორი გადაიგორა,
მინდვრის ბოლოს რომ მიგორდა
ბოლოში დახვდა ნიკორა,
ნიკორამ ჰკითხა:
— ვინა ხარ?
ზღარბი, ლეკვი თუ კნუტიო,
თუ მართლა რომელიმე ხარ,
რად არ გაბია კუდიო?

იქნება კაცის თავი ხარ,
მაშინ რა უყავ ქუდიო?
— ერთი საბრალო ბურთი ვარ,
გაბერილი ვარ წყენითო,
სულ სხვის ნებაზე დავხტივარ
მთელი დღე ზევით-ქვევითო,
მიშველე რამე, ნოდარმა
მომკლა წიხლების რტყმევითო. —
ნიკორას გული მოუკვდა
გალაღებული ლხენითო,
სულ მოუშუშა გვერდები,
ლოკა და ლოკა ენითო.

მელა და ქათამი

მელიამ უთხრა ქათამსო:
— რომ შეაბერდი მამალსო,
ამაღამ ჩემთან წამოდი,
თვალ-მარგალიტით აგავსო.—
ქათამმა უთხრა: — მელაო,
მე შენთვის არა მცხელაო,
სულ ერთი წუთი მაცალე,
გამოვაღვიძებ მურასო
და იმას ელაპარაკე,
თუ თავზე ქუდი გხურავსო.

ია

რა ყვავილს ვგავარ, თუ იცით?
კარგად შემხედეთ, აბა...
ცისფერი ქუდი მახურავს,
მაცვია ლურჯი კაბა.
ბაღში ვარ, ხელით მატარებს
ჩვენი მებაღე ძია,
თავზე პეპელა მაზის და
იცით?

მე ია მქვია.

ქალაქი და სოფელი

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
სულ დაგისველა ბაფთები,
სახლში შემოდი, ხათუნა,
შემოდი, ავად გახდები!
ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
სიმინდს დაულბო ფოჩები,
გადი წვიმაში, ირბინე,
ირბინე, ნანა, მორჩები!

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
წვიმა მოვიდა მაგარი,
სახლში შემოდი, ხათუნა,
დადნები როგორც შაქარი!
ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
დააფრთხო მტრედის ხუნდები,
ნანა, გამოდი ეზოში,
გაგიკაჟდება კუნთები!
რისთვის მოსულხარ, ექიმო?
მეზობლებს რისთვის გვიფეთებ?
ნანას ექიმი რად უნდა,
წადი, ხათუნას მიხედე!

ფუტკარი

მზია, ლილი და ნანა
გატენილ სკებთან დგანან:
— ფუტკარო, აბლი, ბაბლი,
მოგვეცი ცოტა თაფლი?!
გავუყოფთ გივის, ზაზას,
თინას, მანანას, ნესტანს,
ნუ გეწყინება ოღონდ
და ნუ დაგვასობ ნესტარს.

ფუტკარო, აბლი, ბაბლი,
თუ გინდა ქვეყნად მადლი,
მოგვეცი ცოტა თაფლი?! —
ხედავს ფუტკარი: სკასთან
ბავშვები პურით დგანან.
ადგა და მისცა თაფლი,
ღორმუცელაა განა!

ძეთინო, გამოიცანი!

გამოცანა:
მტერია სიბნელის,
მტერია წყვდიადის
ყველაზე ლამაზი,
ყველაზე თბილი,
დიადი,
ზვიადი,
ნაზი და კეთილი
იძინებს ღამით და
იღვიძებს დილით.

პასუხი:
ყველაზე ლამაზი?
ყველაზე კეთილი?
ზვიადი?
დიადი?
რა არის ნეტა?
შენ თუ მზე გგონია
არა ხარ მართალი,
ეს გახლავთ ჩემი და
მანანას დედა.

გამოცანა:
ყველაზე ძლიერი,
ყველაზე მამაცი,
ლამაზი ფაფარით,
ძლიერი ტორით,
გრუხუნა,
ბუხუნა,
სამართლის გამჩენი,
ქვეყნად რომ არა ჰყავს
ტოლი და სწორი.

პასუხი:
გრუხუნა?
ბუხუნა?
ძლიერი? მამაცი?
ნეტავი რად უნდა
მიხვედრა ამას?
შენ ლომი გგონია?
არა ხარ მართალი,
ეს გახლავთ ჩემი და
მანანას მამა.

გაზაფხულო, ლამაზო

ჩემო ჭრელო პეპლებო,
ჩემო ლურჯო იებო,
ჩემო ნუშის ხეებო,
ჩემო ჩიტუნიებო.
როდის აყვავილდებით,
ატმებო და ვაშლებო,
ტყეში მარწყვის საკრეფად
როდის წავალთ, ბავშვებო?
ჰა, ზამთარი მიდის და...
თოვლი დნება ნელ-ნელა.
აი, თავი ამოჰყო
ბუჩქის ძირას ენძელამ.
საწყალ თოვლის ბაბუას
დავუშინოთ გუნდები;
გაზაფხულო, ლამაზო,
მალე დაგვიბრუნდები?

საახალწლო

— ახალი წლის საღამოა,
ქარი ქრის და ფიფქი ცვივა,
თოვლის საბანს რომ იხურავ,
ნაძვის ხეო, არა გცივა?
— არა მცივა, პატარებო,
მე ღიმილი თქვენი მათბობს
და გისურვებთ,
რომ თქვენს გულშიც
არასდროს არ დაიზამთროს.
ზამთარია, მაგრამ გული
არ გითბებათ ყველას განა?
ხედავთ? თოვლის ბაბუამაც
საჩუქრები მოგიტანათ.
უღრან ტყიდან მოვიჩქარი,
ისე ძლიერ შემიყვარდით,
მე მოვედი, რომ ახალი
მოგილოცოთ წელიწადი.



ლიმონათი

დედაც მიყვარს,
მამაც მიყვარს,
საჩუქრებიც მომწონს მათი,
მაგრამ ყველას მირჩევნია
ერთი ჭიქა ლიმონათი.
რამდენ წამალს ვსვამ და ვყლაპავ
მისი ეშხით, მისი ხათრით,
თქვენ არ იცით, რა კარგია
გაზიანი ლიმონათი.

სათვალე

ბები, როგორ დავიჯერო,
რომ სათვალე კარგია,
იმ დღეს ვცადე, გავიკეთე,
არაფრად არ მარგია.
ველარც ფისო დავინახე,
ველარც ჩვენი თემური,
სათვალეა ხელს რომ გიშლის,
შენ კი თვალებს ემდური.
გახსოვს, გუშინ, საყვარელო,
მთელი დღე რომ მაწვალე?
თურმე ცხვირზე გეკეთა და
მაძებნინე სათვალე.

საწყალი ბაბუა

ჩემი საწყალი ბაბუა
უწყინარია, კეთილი,
დღედაღამ ჩაფიქრებული,
ოთახში გამოკეტილი.
ვთხოვ: — ბაბუ, ტყეში წავიდეთ,
დავკრიფოთ კახამბალია...
— ჩუმად, სულელო, ხომ ხედავ,
რომანს წერს, არ ვ სცალია.



— ბაბუ, კუს ტბაზე წავიდეთ
ანდა კინოში წამოდი...
— აცალე, ბიჭო, ხომ ხედავ,
ხვალ მოხსენებით გამოდის.
— ჩუმად, ლექსებს წერს ბაბუა, —
ჩამჩურჩულებენ ყველანი.
ჩემთვის როდისღა მოიცლის,
ღმერთო, დაუშრე მელანი.



შაშვები

ხეზე შემოსხდნენ შაშვები,
შურდულს ესვრიან ბავშვები.
— შაშვი ხომ მგალობელია,
ჰეი, ბავშვებო, რას შვრებით! —
და როცა ტკბილი გალობა
დაიწყეს შავმა შაშვებმა,
ყველა შურდული მაკრატლით
დაჭრეს პატარა ბავშვებმა.

ფისო

ფისუნია, ფისო,
არვინ გაჭმევს ტკბილსო,
ცალი თვალი ნუშს მიგიგავს,
ცალი — მწვანე ღილსო.
დედა ამბობს: — წუნკიაო. —
ბებო ამბობს: — მღლისო, —
ბაბუ ამბობს: — მთელი ღამე
თაგვი შაქარს ღრღნისო,
ეს ყურსაც არ აპარტყუნებს
თავს ვერ ართმევს ძილსო,
მაქნისია რისო,
მარტო კნუტებს ყრისო. —
ჩემზეც ასე არ ამბობენ?..
ფისო, რა გიკვირსო?!



ავტობიოგრაფია

დედიკო მყავს სტუდენტი,
მამა — არქიტექტორი,
ბებო — თვალის ექიმი,
ბაბუა კი — ლექტორი.
მიყვარს ბევრი ძილი და
უფრო ბევრი თამაში.

ჯერჯერობით ვერვინ მჯობს
ტირილსა და ჭამაში.
სახლი მიდგას ვერაზე,
ნომერი აქვს წაშლილი,
თუ დაგჭირდეთ, იკითხეთ:
ლევან მაჭარაშვილი.

ჩოჩორი

ბაბუაჩემს წიგნები
დავუხიე ამ დილით,
დამსაჯეს და მთელი დღე
არ მაჭამეს სადილი.
რომ ვიტირე, დედიკომ
დამაწინკნა ქოჩორი,
ბებიამ კი მიძახა
გაუზრდელი ჩოჩორი.
იმას კი არა ვტირი,
რომ დავფხრიწე წიგნები,
თურმე რომ გავიზრდები
დიდი ვირი ვიქნები.



ბებერი მწევრისა და ტრაბახა კურდღლის გასაუბრება

კურდღელმა უთხრა: — მწევარო!
შენ რომ დაეძებ, მე ვარო,
თუ ვაჟკაცი ხარ, მობრძანდი,
აგერ ბუჩქებში ვწევარო. —
მწევარმა უთხრა: —კურდღელო!

სიზმარში გნახე წუხელო,
ველარ დაგიჭერ, დავბერდი,
ვარ უფეხო და უხელო.
თუმცა არც ისე ვწუხვარო,
შენც მხიარულად ნუ ხარო,
ისეთი ლეკვი მეზრდება,
სიზმარშიც ვერ წაუხვალო!

ნემსი

ძაფს რომ ნემსში ვერ აგებს,
ბებო ბრაზობს ძალიან,
მიჯავრდება ხანდახან,
თითქოს ჩემი ბრალია.
შორიდან რომ ვუცქერი,
გული დარდით მევსება,
დამიტანჯეს ბებიკო
საძაგელმა ნემსებმა.
გაგონილა ასეთი?
რატომ ვერა ხვდებიან...
დიდი ნემსი უყიდონ
ჩემს საყვარელ ბებიას!

ტელევიზორი

— გადაცემა ვისზეა,
ყვავზეა თუ ჩხიკვზეა?
— სულერთია, ვისზეა,
ჩართეთ ტელევიზია! —
  და მთელი დღე ასეა,
ყველა ათი სართულის,
ყველა ტელევიზორი
ართული და ჩართული.
და არც ერთმა არ იცის:
ვინც უგნურად იქცევა,
მალე ტელევიზორის
ყუთად გადაიქცევა.









შეჯიბრი

ნოდარიკოს და მაიკოს
აქვთ კამათი და დავა,
ამ ზაფხულს დასასვენებლად
ვინ სად და როდის წავა.
მაიკომ უთხრა: — ბორჯომში
წავალ ივლისის ათში. —
ნოდარმა უთხრა: — შენს ჯიბრზე
მე წავალ ლიმონათში.

მგელი, ბატკანი და მურია

ერთხელ ბატკანმა მურიას
შეჰკადრა საყვედურია:
— რაა, რომ ბატკნებს
მგლის შიშით
ვერ გვიჭამია პურია?! —
გაბრაზებულმა მურიამ
ხელად იძია შურია,
მგლის ლეკვს,
ფარეხში შეპარულს,
ძირში მოჭამა ყურია.
მგლის ლეკვმა დედას შესჩივლა
დაკბენილმა და უყურომ:
— მურიას მამაძაღლობას
როდემდე უნდა უყურო?! —
შეშინებულმა ძუ მგელმა
ატეხა ვაი-ვიშიო,
შვილს უთხრა:
— ხომ გაგაფრთხილე,
გქონდეს ძაღლების შიშიო,
ცხვრის გადამკიდე, მაგ ოხრებს,
არ უყვართ ჩვენი ჯიშიო.
სხვა გზა არ არის, შვილებო,
მგლის ჯიშმა დღეის იქეთო,
უნდა გვარი და სახელი
ძაღლებად გადავიკეთოთ.





ხანძრობანა

ხანძრობანას თამაში
შეიძლება თავლაში?!
ქალბატონო ასმათი,
დაუმალეთ ასანთი!
ნოდარიკო თავბუა,
ნუ აწვალებ ბაბუას!
ტყავს გაგაძრობს, ყაჩაღო,
ცეცხლი რომ გააჩაღო!

მანანა და ლალი

მანანა — ლალი, ლალი, ჩემო ლალი!
ლალი — რაო, ჩემო მანანა?
მანანა — ეს თოჯინა დედაშენმა
ჩემთან გამოგატანა?
ლალი — რასა ბრძანებ, ქალბატონო!
არ გათხოვებ არასდროს,
გინდა ისევ გააცივო,
ისევ სურდო დამართო?

მანანა — რადგან ასე მეუბნები,
რადგან ასე მაჯავრებ,
დამიბრუნე ჩემი ვაშლი,
მე რომ გუშინ გაჭამე.
ლალი — არაფერიც, არაფერიც,
არაფერსაც არ მოგცემ,
იმ ვაშლისთვის, აღარ გახსოვს,
ლოყაზე რომ გაკოცე?



მანანა — მე რომ წიგნი მოგიტანე
კარგი წასაკითხავი?..
ლალი — მერე მე რომ მოგარჩინე,
ექიმი რომ ვიყავი?
მანანა — ჰო-ჰო-ჰო-ჰო, დიდი საქმე,
სულ არ იცი თამაში,
გახსოვს, მე რომ მოგეხმარე
კანფეტების ჭამაში?
ლალი — მერე მე რომ შენს თოჯინას
გავუკეთე ნემსები?!
მანანა — მერე მე რომ წაგიკითხე
დიდი, გრძელი ლექსები?!
ლალი — როგორც ვხედავ, ქალბატონო,
უმადური ბრძანდები,
დაგავიწყდა, გუშინწინ რომ
გამომართვი ბაფთები?
მანანა — არც თოჯინა მინდა შენი,
აღარც შენი ვაშლები,
ბუტე, ბუტე, გაგებუტე,
აღარ გეთამაშები!



ნანა

ლურჯ ჯეჯილს ეკითხებოდა
გაოცებული ნანაო:
— ეგ კაბა ყაყაჩოებით
ვინ მოგიქარგა, ყანაო?
ერთი ის კაცი მაჩვენე,
მეც მინდა მაგისთანაო.



ბაღი

მე ბაღი ბაღი მეგონა,
ყვავილებით და პეპლებით,
აქ კი რა დამხვდა? — მაგიდა,
წიგნი და მასწავლებელი,
ვაშლის ფაფა და სტაფილო,
კატლეტები და სუპები,
არა, ბატონო, ამ ბაღში
უთუოდ დავიღუპები.
არ მინდა თქვენი საწოლი,
არც ეს ფაფუკი ბალიში,
ან ნამდვილ ბაღში წავიდეთ,
ან არა — სახლში გამიშვით.

ზამთარი

ბიჭოს, რა თოვლი მოვიდა,
ნეტავ საიდან მოვიდა,
იმდენ ხანს დააგვიანა,
ალბათ ძალიან შორიდან.
აუ, რამდენი ფიფქია,
ფიფქები ქარში მიქრიან,
ასე ლამაზი თუ იყო
ზამთარი, არც მიფიქრია.
ეი, ბელურავ, მავთულზე
მობუზული რომ ზიხარო,
ჩემს აივანზე მოფრინდი,
საკენკი გადმოგიყარო,
ცოტათი გათბი, დანაყრდი
და მერე ერთად ვიხაროთ.

სამდურავი

ერთი თვეა ფისუნიას
თეფშზე კარაქს აღარ ვუდებ,
არც რძეს ვასმევ,
არც ძეხვს ვაჭმევ,
არც მასა და არც მის კნუტებს.
არ იკითხავთ, რად ვემდური?
ანდა რისთვის გავებუტე?
თუ არ იცით, მოგახსენებთ,
მომიშალეს მერცხლის ბუდე.

სტუმარ-მასპინძელი

აბა დელია-დელია,
ყვავმა იშოვა ყველია,
პატარა ლხინი მოაწყო,
მოიპატიჟა მელია.
მართალი არის, მელია
ლოთი და ღვინის მსმელია,
მაგრამ, რას იზამ, წესია,
მელია მეზობელია.

მელა მაგიდას მიუჯდა,
ყვავს გადახვია ხელია,
ყვავმა სასმისი აუვსო,
მიდღეგრძელეო კერია.
მელამ სასმისი დაცალა,
ზედ დააყოლა კვერია,
კვერს დააყოლა ყველია
და, როცა ყველი არ ეყო,
ყვავს გამოჭამა ყელია.
ასე დამთავრდა ქეიფი,
აბა დელია-დელია.



ბიჭი, ძაღლი და ბეგია

ნოდარიკო და ბემბი
ცხოვრობენ როგორც ძმები,
ერთი თეფშიდან თქვლეფენ.
ორთავე ერთად ყეფენ.
ტახტის ქვეშა აქვთ ბინა,
ორთავეს ერთად სძინავს,
ბიჭი მიუშვერს ლოყას,
ძაღლი ლოკავს და ლოკავს.
ბქვრს ემუქრება ბები,
ერთად გათრუვთო თმებით...
აი ამ წუთში, ახლაც
ორთავე ბაღში გახლავთ,
დასდევს ბებია კუდში,
მაგრამ ვინ აგდებს ძაღლად.

პრანჭიები

სულ ერთი ციცქნა, პაწია
ბოსტანი ჰქონდა ბაჭიას,
ისე პატარა ბოსტანი,
ხან ჩიტი ჭამდა, ხან — ჭია.
იქვე ბაჭიას მეზობლად
ციყვს ჰქონდა ნაძვზე ფუღურო,
შიგ ედგა ერთი ქოთანი,
ცარიელი და უყურო.
და მათ მეზობლად, ღრუბლების
იმედითა და ნუგეშით,
პატარა იხვი ცხოვრობდა
გობისოდენა გუბეში.
ბაჭია გაიძახოდა:
— შრომით მასკდება ოფლიო,
სტაფილოთი და მწვანილით
მე ვამარაგებ მსოფლიოს! —
იხვი გუბიდან ყვიროდა:



— ცა თავზე ქუდად მხურავსო,
რაც მსოფლიოში თევზია,
სულ ჩემს გუბეში ცურავსო! —
ციყვი ისეთი ფრთხილია,
ფუღურო ჩაკეტილი აქვს,
შიგნიდან გაიძახოდა:
— ეს ჩემი ორი კბილია,
ისეთი ალესილია,
რაც მსოფლიოში თხილია,
სულ ჩემი დაკვნეტილია!
ტრაბახში დადგა ზამთარი,
ერთ თვესაც არ გაუვლია,
იხვსაც,
ციყვსაც
და ბაჭიას
შიმშილით გასძვრათ სულია.
იხვი,
ციყვი
და ბაჭია
სამთავე იყო პრანჭია.

ვაი დედასა!

ტყეში გაისმა კიკინი,
შეიძრა მთები სურების,
კუჭგამომხმარმა ტურებმა
გამოიფხიკეს ყურები.
სოროებიდან გამოძვრნენ,
აუბაგუნდათ გულები,
გაიხედ-გამოიხედეს,
დაზვერეს გზები ურები.
უცებ წააწყდნენ ბეკეკას,
დრო აღარ იყო ყურების,
თონეში ცეცხლი ჩაანთეს,
დააცხვეს დედას პურები.
მოიპატიჟეს სტუმრები,
მოხადეს სავსე ჭურები.
ვაი დედასა! სად იყვნენ
ბროლიები და მურები!



დათუნია

გამარჯობა, დათუნია,
რა კარგი ხარ, ლამაზი,
ვერ მიცანი? შემომხედე,
მე ვარ, შენი თამაზი.
ყურადღებას არც კი მაქცევ,
მოდიხარ და მიდიხარ...
მეც მყავს სახლში დათუნია,
მაგრამ შენ ხომ დიდი ხარ!
არ გრცხვენია, დამიკარგე
შენი ნახვის ხალისი,
რამოდენა გაზრდილხარ და
გამარჯობა არ იცი.

ლელას და ნიშა ხარის გაბაასება

— როგორ ხარ, ხარო ნიშაო?
— ისე რა, არა მიშავო...
— შენ როგორა ხარ, ლელაო?
— რა ვი... ვარ ნელა-ნელაო,
დიდედამ მამინელაო:
არ მაიტეხო ფეხიო,
ჩამოხსენ საქანელაო,
გოგოვ, რად დაგახველაო,
მანდ გრილა, აქა ცხელაო,
ეგ თხა ვინ გამოწველაო,
ეგ ხე ვინ გადაბელაო...

— არ დაიდარდო, ლელაო,
ეგრე არა ვართ ყველაო?
— კარგად იყავი, ნიშაო,
ღმერთმა მზე არ გაგიშავოს,
მაგ გზებზე ფრთხილად იარე,
ეგ ქედი არ დაიშავო.

ნოდარიკოს გასაჭირი

— უსმინე დეიდებს,
ბიცოლებს, მამიდებს,
თუ გინდა ამ ზაფხულს
სოხუმში წახვიდე,
ახლავე სუყველას
პირობა დაგვიდე,
ზღვაში არ შეხვიდე,
მზეზე არ გახვიდე...
— მე ხომ ყურს გიგდებდით,
ახლა თქვენც დამიგდეთ,
ან აქვე დამტოვეთ,
ან ფეხით დამკიდეთ,
ან როგორც მიყიდეთ,
ისევე გამყიდეთ.

ქურდბაცაცა ბაჭია

ამდენ მწვანე კომბოსტოს
არც ჩიტი ჭამს, არც ჭია.
ალბათ ისევ ეშმაკობს
ქურდბაცაცა ბაჭია!
მოვა, როცა ძილში ვარ
და მურიაც არა ჩანს,
მერე დაურიდებლად
მთელ კომბოსტოს გადაჭამს.
ერთხელ მაინც ეთხოვა:

„საყვარელო მაიკო,
შენი ბაღჩის კომბოსტო
გამასინჯე, დაიკო“.
მეც მივცემდი, ახლა კი
საყვედურის ღირსია:
თქვენ თვითონ თქვით, ქურდობა
განა საკადრისია?



მაჩვი

გუბაზოულის ჭალაში
ატყდა სტვენა და განგაში:
წუხელ სიმონას წისქვილთან
მაჩვი გაბმულა ხაფანგში,
მა რა ეგონა, მაგ მსუნაგს,
რომ მიძვრებოდა ყანაში.
ახლა სიმონას ბიჭები
ამოიღებენ ცხრა ტყავში.
ნახოს, როგორი ყოფილა
მეწისქვილესთან თამაში.

თაგვი

თაგვი ვარ, სპილო ხომ არ ვარ,
რომ მაბრალებენ ამდენსო,
ერთ მარცვალს შევჭამ, ყვირიან:
— ვაი, ბეღელი დაგვევსო,
ვერაფრით ვერ ავუდივართ,
ამ ღორმუცელა თაგვებსო! —
და მთელი ქვეყნიერება
სათაგურებით დამდევსო.
კატის და ძაღლის არ მიკვირს,
კაცი რამ გაამგელაო,
ნეტავი მართლა სპილო მქნა,
სუყველას გადავთელავო.

ბუა

ბებომ იმდენი მაშინა,
— მოვა და შეგჭამს ბუაო, —
მე მგონი თვითონ შეშინდა
და წნევამ გააბრუაო.
ნუ გეშინია, ბებიკო,
მაგას ვასწავლი ჭკუასა
და შენი შეშინებისთვის,
მე თვითონ შევჭამ ბუასა.



ლოთი

ჭაჭანაჭამი ტახია,
გორავდა როგორც კვახია.
თავზე წაადგა ბეკეკა,
უთხრა: — ღორებზე ახია!
ტახმა ქვევიდან შესტირა:
— მთვრალი თხა არ გინახია?
— კი, როგორ არა, ბატონო,
კიდევაც გამილახია!

ხულიგანი

იყო ქორწილი ორისა,
შევარდნისა და ქორისა,
მოფრინდა მართვე არწივთა,
თამამად დაჯდა ყანწითა,
გვერდით მოისვა ხოხობი,
ტუჩმოთხუპნული ანწლითა.
მოვიდა ბატი ბუტია,
თეთრი, ვით ბატიბუტია.
მერე მოვიდა ჩოჩორი,
შუბლზე დაყრილი ქოჩორით,
მოფრინდნენ შაშვი, კაკაბი,
რა ფარჩითა და რა კაბით.

ჩხიკვი, კოდალა, ტოროლა
და განა თითო-ოროლა...
უცებ მოვარდა მოზვერი,
სტუმრები მიუვერ-მოუვერა.
ვერ იქცეოდა უძრახად,
ჩოჩორს სულ ვირი უძახა.
იბღავლა: — მე ვარ ხარია! —
ქორწილი არივ-დარია.
ჩოჩორმა ერთხანს უთმინა,
მერე მოთხარა სარია,
იმდენი ურტყა ხულიგანს,
წაიღეს ცოცხალმკვდარია.

ნუგეში

ჩემს ბებოს ხუთი შვილი ჰყავს,
შვილიშვილი კი ერთი.
ბებია ამბობს: — ჩემს ბედში
არ ურევია ღმერთი.
ჩემს შვილებს ღმერთი არა სწამთ?
როგორ გავჩუმდე, როგორ?
ხუთ შვილზე ერთი ბადიში
და მერე ისიც გოგო? —
— ნუ გეშინია, ბებია,
რომ გავიზრდები, მაშინ
იმდენ შვილიშვილს გიყიდი
ვერ დაატიო სახლში.

ასი სათვალე გექნება,
ჩემო ბებია ოლღა,
ასი კაბა და თავშალი,
ასი ქუდი და ქოლგა.
შენ ოღონდ კარგად იყავი,
ნუ უჯავრდები მამას,
და ჩირსაც თუ არ მოგვაკლებ,
ჩვენც არ მოგაკლებთ ჭამას.





გაუგებარი ლექსი

ეს ლექსი დედაზეცაა,
ეს ლექსი მამაზეცაა,
თუ მიწა დედამიწაა,
მაშ ზეცა მამაზეცაა?
აუ, რამდენი ცებია,
ნეტავი საქმე რაშია,
შენ ხომ არ მეტყვი, ბებია,
რომ იყურები ცაშია?
— მაცალე, შვილო, ცას ვანდობ,
გულის ტკივილს და ხვაშიადს —
ვინც ამ ცას რამეს გაუგებს,
იმას დავუკრათ ტაშია!

ერთმა პატარა ბელურამ

ერთმა პატარა ბელურამ
დალეწა რკინის გალია;
ასი პეპელა შეჭამა,
ორი ათასი — კალია.
ასი ათასი მუხლუხო,
მერე მოსწყურდა წყალია,
შავ ზღვას დაადო ნისკარტი,
შეისრუტა და დალია.
მერე ჩემს ფისოს ეძგერა,
დაუბრიალა თვალია.

ფისომ ირიბად გახედა,
იფიქრა, ალბათ მთვრალია,
თათი წაარტყა კეფაში:
შენთვისო არა მცალია!
თათი რომ წაჰკრა კეფაში,
გაქრა ბელურას კვალია,
ქარს გაატანა ბუმბული,
მე გადმომიგდო ძვალია.

გუგულის საყვედური

ჩიტებში რომ მაქიაქებთ,
მთათხავთ, ტალახს მესვრით,
ნეტა ვინ გყავთ ქვეყანაზე
ჩემზე უკეთესი?..
სხვა რომელი ჩიტი გიხმობთ
გაზაფხულზე ესე:
— ხალხო, დროზე გაიღვიძეთ,
თესეთ — კაფეთ — თესეთ!!!
მე შემარქვით პარაზიტი,
ბულბულზე წერთ ლექსებს,
ამის შემდეგ სხვებს ასწავლით
ზრდილობას და წესებს?!



ნამდვილი აბავი

თურმე ქათმების წყევლამა
მელია დააელამა.
საქათმის ნაცვლად საძაღლის
კარი შეაღო მელამა.
იმ საძაღლეში რაც მოხდა,
ალბათ გაიგეთ ყველამა...



მამუკა

გადაიგრიხა მამუკამ
სიმინდის ფოჩის ულვაში,
თოფისწამალი ჩაყარა
თავის ხელთოფას ლულაში.
ჯოხის მერანზე გადაჯდა,
დასცხო ბუკი და ნაღარა,
ოჩანი ცხენის არ იყოს,
ტყუპად ტლინკებიც აყარა.
თავზე დაესხა ბოჩოლას,
აკუწა მკვახე კვახები.
— ბიჭო მამუკა, დაწყნარდი,
იცოდე, გაილახები! —
არ დაიშალა მამუკამ
ხმლისა და თოფის ტრიალი,
ახლა მურიას მივარდა
ყიჟინითა და ღრიალით.
მურამ უთმინა, უთმინა,
კუდიც კი გაუქიცინა,
სულ მთლად რომ თავზე დააჯდა,
ბოლოს მურამაც იწყინა.
შემოახია შარვალი,
მერე ისეთი იფრინა...
შარვალჩახდილი რომ ნახა,
დაწვა და ბევრი იცინა.



ქურდის ქურდი

ხათუნამ გულის კანკალით
ბებოს მოპარა კაკალი.
და როცა კაკალს პარავდა,
როცა ხურავდა კარადას,
ქილა გაუტყდა მურაბის.

და სწორედ ამ დროს ხათუნას
თავზე წაადგა ზურაბი.
ხათუნამ უთხრა: — ძამიკო,
მოდი, კაკალი გავიყოთ! —
ზურიკომ უთხრა: — დაიკო,
ეს რომ ბებიამ გაიგოს,
ეს რომ დედიკომ გაიგოს,
ეს რომ მამიკომ გაიგოს?..

ამიტომ მთელი კაკალი
მე უნდა მომცე, დაიკო! —
ხათუნამ ხელის კანკალით
სულ ჩაუთვალა კაკალი.
მერე არ იცით, რა იყო?
ბებიამ მაინც გაიგო.
როცა ბებიამ გაიგო,
მერე მამამაც გაიგო,
მერე დედამაც გაიგო.
ჭორმა იარა, იარა,
სოფელი შემოიარა,
მაგრამ ხათუნა კი არა,
ქურდი კაკლის და მურაბის
მაგრად მიტყიპეს ზურაბი.

ქეთინოს გაფთეგი

გადაიფრინეს პეპლებმა
ათასფერადი ტრამალი,
უხვად მიირთვეს ნექტარი,
ვით უკვდავების წამალი.
დაკოცნეს ვარდი, ყაყაჩო,
ია, ღიღილო, ენძელა,
ცის დასალიერს მიადგნენ,
დაღლილებს ფრენა ეძნელათ.



უცხო ყვავილზე ჩამოსხდნენ
თვალი მოლულეს წამითა,
უცებ წამოდგა ყვავილი,
ყვავილი უცებ წავიდა.
პეპელამ უთხრა პეპელას:
— რა გვემართება, ნეტაო,
მოსიარულე ყვავილებს
თვალით პირველად ვხედავო. —
მაშინ ყვავილმა შეჰკადრა:
— რამ შეგაშინათ ნეტაო,
ქეთინო მქვია სახელად,
რა ვქნა, მასხედით ზედაო,
მინდვრად ბაფთები დავკარგე,
საუბედუროდ ჩემდაო,
რომ მიმატოვოთ, პეპლებო,
შინ არ შემიშვებს დედაო. —
ვერ გაუწბილეს პეპლებმა
თხოვნა და გულისნადები,
ახლა არავინ არ დადის
ქეთოსნაირი ბაფთებით.



სარფელი მეთევზე ბავშვების სიმღერა

აიდა, აიდა,
გასცურე, ბაიდა,
გამოდი, კეფალო,
გამოდი, სტავრიდა!
აიდა, აიდა,
მოუსვი, ბაიდა,
დელფინი მოვარდა,
ნეტავი ხაიდან?..
სტავრიდას გაიტანს,
კეფალსაც გაიტანს,

ბადეს და ბაიდას
გაიტანს ლაზისტანს.
ამ ბადეს დავტოვებთ,
ტალღებზე ეფინოს,
ოღონდ შენ მოგვეშვი,
კეთილო დელფინო.
რა მოხდა ასეთი,
ეს ზღვა რომ გაცალე;
სულ შენი არ არის?
ცოტა ჩვენც გვაცალე!
დღეს არა გვცალია,
ხვალ გეთამაშებით,
დილიდან ვთევზაობთ
სარფელი ბავშვები.
დღეს თევზის ნასახიც
არ გაგვიყიდია,
გვაცალე, გავყიდით
სტავრიდას, მიდიას.



ტალღები მოდიან,
ტალღები მიდიან,
შენ სხვაგან ითევზე,
შავი ზღვა დიდია.
მობრუნდი, ბაიდა,
მზე ზღვაში ჩავიდა.
დელფინი წავიდა,
აიდა, აიდა!



მღერიან თუშის ბიჭები

მიტანტალებენ ბილიკზე
თუშის პატარა ბიჭები,
ფეხში ესობათ ეკლები,
ფეხში ესობათ ხიჭვები.
მიდიან, მიიმღერიან,
მთები უწყობენ ხმასაო:

„თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,
კიდევ ვჯობივარ სხვასაო...
არ მივატოვებ არასდროს
მთაში გარეკილ ცხვარსაო.
არ გავაცივებთ ღადარსა,
არ გამოვკეტავთ კარსაო,
ომალოს, დიკლოს, შენაქოს
არ დავუტოვებთ სხვასაო“.
ნიამორები გადმოდგნენ
გადმოეფინენ მთებსაო.
მდინარეები გადმოსკდნენ,
კლდემ კლდეზე დაიკვნესაო.
ირემმა ირემს გასძახა:
ბალღებმა ეს რა თქვესაო!
ნეტაი ჩვენსა მამულსა!
ნეტაი დედათქვენსაო!



ბაყაყისა და ქეთინოს გასაუბრება

გაბერილი და ამაყი
წყალში ყიყინებს ბაყაყი.

ქეთინო: ცურვა რომ იცი, ბაყაყო,
ყვინთვა რომ იცი, ბაყაყო,
იმითი ხომ არ ამაყობ?!
აბა, ნაპირზე ამოდი,
ნახე, რა მაგრად დაგნაყო!

ბაყაყი: ცურვა და ყვინთვა რომ ვიცი,
სწორედ იმიტომ ვყიყინებ,
გაბედე, წყალში ჩამოდი,
სულ დაგაწინკნი კიკინებს!

იავნანა

ბულბული ვარდის კოკორზე
მღეროდა იავნანასო,
კატამ თქვა: — მივეპარები
და გადავსანსლავ ამასო. —
ამის გამგონე ბულბულსა
ნისკარტში ჩაეცინაო,
ხმას აუწია და კატას
მკვდარივით ჩაეძინაო.



ქეთინოს ვედრება მზისადმი

მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი,
ნუ ჩაეშვები ზღვაში.
ზღვას ცეცხლი წაეკიდება,
ჩემი მამა ზის ნავში.
იმას რომ რამე შეემთხვეს,
რა მეშველება მაშინ?!
მზეო, დაბრუნდი, დაბრუნდი,
ბარც მე დაგრჩები ვალში,
დილით რომ ამობრძანდები,
შეგეგებები ტაშით.

სილამაზე

არა შრომით და გარჯითა,
როგორც პატარა ნარჩიტა,
ფარშევანგი და ხოხობი
თავს იწონებენ ფარჩითა...
ეზოში წარამარაო
კუდს შლიან როგორც მარაოს,
ამბობენ: — ჩვენგან, ბატონო,
ეს სილამაზეც კმარაო.

შეჯიბრება საღორიის ტყეში

კვირიკობ-მარიობის თვეში
საღორიის ულრან ტყეში
ნადირთ შორის გაიმართა
პირველობა ჭამა-სმაში.
იმ შეჯიბრზე თავად გახლდით,
თქვენი ტოლი ვიყავ მაშინ.
დაახვავეს სალაფავი,
სასმელი და საყლაპავი,
მოაქვთ გოდრით,
მოაქვთ ურმით:
ყველი,
პური,
ხაჭაპური,
თაფლი — კასრით,
ღვინო — ჭურით,
ვაშლი,
მსხალი,
ხეჭეჭური,
გოგრა,
ნესვი,
კარტოფილი,
წაბლი
გობზე დაწყობილი.
გამოვიდნენ ფალავნები
ზოგი ძალით,
ზოგი ნებით,
გადმოთელეს სტადიონი,
გადმოთელეს გაზონები,
და ღორები ვიდრე გვერდზე



ვირებს მუცლებს აზომებდნენ,
უცებ ჩართეს წამმზომები.
ერთი, ორი,
ერთი, ორი,
თავს დააცხრა საჭმელს ქორი.
რომ გავარდა უცებ ყვავი,
ყვავი სვავის ნათესავი,
ყვავს ფეხდაფეხ მიჰყვა სვავი,
დათვმა კასრში ჩარგო თავი.
განაბული ყველა ელის,
გაიმარჯვებს შმაგი მგელი.
მაგრამ, ვაგლახ,
შეცდა ყველა,
მგელს გაუსწრო წამით მელამ.
ტურამ დანთქა ყველა ჭური,
ბაჭიები მოკვდნენ შურით.
ვაშლის ხარბი
დარბის ზღარბი,
თავის არჩივს
ეძებს მაჩვი.
ერთი, ორი,
ერთი, ორი,
ძლივს მოგლიჯეს საჭმელს
ჯორი.
ვირს დაადგა გასაჭირი,
— მიშველეთო, — ყვირის ვირი.
ვერ აჯობებს ვერვინ, ვერა,
საჭმელს ძერა
დაეძგერა.
სტადიონზე გრგვინავს ტაში,



ცხენს გაუსკდა ჭამით ფაშვი.
გაბერილი უმი ნიყვით
გაათრიეს გვერდზე ციყვი.
თხა ძროხას და ირემს შველის,
გულწასული გაჰყავთ შველი.
გაუზრდელი, ბრიყვი, ანცი
არვის აცლის
შავი ვაცი,
იცინის და წვერს ივარცხნის,
აბა, განი,
აბა, განი,
გაჰყავთ ვაცი
ხულიგანი.
ერთი, ორი,
ერთი, ორი,
გაინაბა სტადიონი.
ჟრუანტელი უვლის ტანში.
აბა, ტაში,
ჩქარი ტაში,
მეცხრე კასრი მიაქვს ყბაში.
გამარჯვების დასცხეთ მარში,
ერთი, ორი,
არ ჰყავს სწორი,
ჩემპიონი გახდა ღორი.
ასე ყველა ნადირს გზები
მოუჭრა და მოუცელა
და იმ დღიდან დააწესეს
ეს ტიტულიც — ღორმუცელა.



კვიცი

იყო ერთი კვიცი,
ყორნისფერი კვიცი,
ეშმაკი და მკვირცხლი,
ოჩანი და ფიცხი,
დედის ურჩი კვიცი.
ალბათ, ყველამ იცის,
ერთხელ მკვირცხლი კვიცი
მოჰყვა თავის ქიცინს,
უკითხავად დედის
მიატოვა თავლა,
მოინდომა გავლა,
გადირბინა ველი
მოღერებულ ყელით
და მდინარის პირას,
შიმშილისგან ხელი,
შეეფეთა მგელი.
მგელს ცრემლით და ფიცით
გულს მოულბობს კვიცი?..
ჰოდა, ყველას, ყველას,
თაგუნას და მელას,
ბაჭიაა იგი,
თუ ნუკრია შველის,
ვინც არ უსმენს მშობლებს,
განსაცდელი ელის.

იყო ერთი კვიცი...
მეტი აღარ ვიცი.



იხვი და მამალი

ვიტი, ვიტი,
ჩემზე დიდი
მოცურავე ვინ არი,
ვის ამშვენებს ულვაში,
გამეჯიბროს ცურვაში.
ზურგზე ლურჯი ზოლი გამდევს,
ჩემპიონის კანტია,
იხვთა მოდგმა ვასახელე,
მეძახიან „კვატიას“.



და დედლების ამალით
იქვე გაჩნდა მამალი.
უკან არ დაიხია,
ტანზე შემოიხია.
მაგ დაფეხვილ ტრაბახას
მივალ, ყელში ვეცემი,
დაახალეთ, დედლებო,
თქვენი ლაყე კვერცხები.
ისე მაგრად გავცურო,
ისე მაგრად ვიყივლო,
მაგას თუ არ ვაჯობო,
დე, გამიხმეს ბიბილო!
გადაუშვა მორევში,
ცა ყივილით გახია,
და იმ დღიდან მამალი
დედლებს არ უნახია.



მაწონი

ლევანიკომ და ნოდარმა
გატეხეს ჩაიდანია,
ბებო გაგიჟდა, საღამოს
ჩაი რომ ვეღარ დალია.
ლევანმა გადუჩურჩულა
ნოდარს, მის გვერდით დაწოლილს:
— ჩვენ რომ გვაძალებს ძილის წინ,
ახლა თვითონ სვას მაწონი.

დათუნიას მოსაწვევი ბარათი

სათაფლიას უსიერში
ყველას, ყველას გელით,
ხვალ ჯვარს იწერს ჩემი ბიჭი,
საამაყო ბელი.
ფიჭვნარში მაქვს გამართული
მამული და სახლი,



სავსე პანტით, კურკანტელით,
წაბლითა და თაფლით.
ქორწილი მაქვს არნახული,
სმით და ჭამით დაგღლით,
ოღონდ არ წამოიყვანოთ
მონადირე ძაღლი,
ოღონდ არ წამოიყვანოთ
ტყეში სტუმრად ფუტკარი,
და თუ მოვა, ის ნესტარი
შინ დატოვოს, უთხარით.
ოღონდ არ წამოიყვანოთ
მონადირე სოფლის,
და თუ მაინც არ დაიშლის,
შინ დატოვოს თოფი.
თქვენი კარგად ყოფნის მეტი
არაფერი მინდა,
ერთხელ მაინც ვიქეიფოთ
უჩხუბრად და მშვიდად.
ჩემს სასახლეს ულრან ტყეში
არ აწვიმს და ათოვს,
თუ მეწვევით, გამახარებთ!
მარად თქვენი დათო.

არწივის ბრძანება №1

სულით, ხორცით და ბუმბულით
პოეტი იყო ბულბული.
გადაეკიდა წეროო,
ლექსი მე უნდა ვწეროო.
ეს რომ გაიგო ვარდმაო,
გადაიყოლა დარდმაო.
ეს რომ შეიტყო არწივმა,
თვალთაგან რისხვა აწვიმა,

ბრძანა: — მომგვარეთ სულელი,
ვარდს დაუბრუნოს სურნელი,
თან გადაეცით წეროსა,
არც წეროს, არც იმღეროსა,
თორემ ფრთასა და ბუმბულსა
გავაცლი ღერო-ღეროსა,
წერომ ბაყაყებს მიხედოს,
ლექსი ბულბულმა წეროსა.





გაზაფხული

ღამეა, ცაში ომია,
ელვა ქვემეხებს ისვრის,
ქარმა ღრუბელი დაგლიჯა,
ადინა თეთრი სისხლი.
წვიმა თქრიალით მოვარდა,
ტყე დაიბურა ნისლით.
დილით მზე ამოჩახჩახდა,
გადაიბარდნა ნუში,
რაღაცამ გამოიღვიძა,
გაითამაშა გულში,
ბებიამ უთხრა ბაბუას:
— გაზაფხულდაო გუშინ.

მანანას წერილი

ჩემო კარგო მედიკო,
ჩემო კარგო დაია,
გეფიცები თოჯინას,
მომენატრე ძალიან.
მომენატრა სოფელი,
ბაბუა და ბებია,
ალბათ ახლა სხედან და
ისევ მზეზე თბებიან.

მენატრება ძალიან
დედაშენის ნამცხვარი
და ოტია ბაბუას
მოყოლილი ზღაპარი.
ეთერი და თამაზი
სკოლაში თუ დადიან?
ჩვენს უკუდო მურიას
კუდი ხომ არ გაზრდია?
ჩვენი ფისო რას შვრება,
მუდამ რძე რომ უდგია,
ბებომ წკეპლა რა უყო,
ხომ არ გადაუგდია?
ნანას ჩემი წიგნები
ხომ არ დაუხევია?

ჩემი თუთა უჩემოდ
ხომ არ დაურხევიათ?
შენს თოჯინას ისევ ის
ჭრელი კაბა აცვია?
ქორს ყვითელი წიწილა
ხომ არ გაუტაცია?
ჩემი კაბა ბოჩოლას
ხომ არ დაულეჭია?
ბებოს ჩემი ბეკეკა
ხომ არ გაუკრეჭია?
ისევ თქვენთან, სოფელში,
ნეტავ როდის ვიქნები!
ალბათ ვეღარ მიცნობენ
გოჭები და თიკნები.

მე წელს ვეღარ ჩამოვალ,
საყვარელო მედიკო,
გამოგიშვას თბილისში,
შეეხვეწე დედიკოს.
ჩემო კარგო მედიკო,
ჩემო ტკბილო დაია,
რა იქნება, ჩამოდი,
მომენატრე ძალიან.





აქ ისეთი ბაღი გვაქვს!..
დიდი, ცამდე აწვდილი,
რა საბავშვო ბაღია,
სასახლეა ნამდვილი.
დაბლა, პირველ სართულზე,
ჩვენი დიდი კლასია,
სათამაშო ოთახი
თოჯინებით სავსეა.
ყველგან სისუფთავეა,
ყველგან თადარიგია,
აივანზე, ფანჯრებთან,
საწოლები გვიდგია.
ძილი გიყვარს? ვინ გიშლის,
დაწექი და იძინე!
თამაში გსურს? ეზო გვაქვს,
დადექი და ირბინე!
ბაღში კიდევ ბაღია,
ყურძნებით და ვაშლებით,
გეფიცები დედიკოს,
თვითონ ჩვენ ვკრეფთ, ბავშვები.
ბოსტანიც გვაქვს ლამაზი
და ყოველთვის, ჭამის დროს,
ვჭამთ ჩვენსავე ბოსტანში
მოსულ კიტრს და პამიდორს.
ეზო, ბაღი, ბოსტანი,
ყველაფერი ჩვენია,
ბაღს მურია დარაჯობს,
სულ არ არის კბენია.
რაც არ უნდა აბრაზო,
გინდა ცემე, გალახე,
ცოტას გაგიჯავრდება,
წინა კბილებს განახვებს.

**

რა საბავშვო ბაღია!
რა ლამაზად ნაგები!
კარგი მასწავლებლები,
კარგი ამხანაგები:
გელა, გია, თემური,
ხათუნა და რამაზი,
დოდო, დალი, ქეთინო,
ჯემალი და თამაზი...
გელა კარგი ბიჭია,
მაგრამ ცოტა ტრაბახა.
სულ მაშინებს: — მანანა,
ცალი ხელით გაგლახავ! —
ხან ნაწნავებს მომქაჩავს
„აჩუ, აჩუს“ ძახილით,
ხან თამაშიც არ უნდა,
იღრინება ძაღლივით.

როცა ყვავილს დავხატავ,
მოვა, ფანქრით გადაშლის,
გუშინ ჩემი დათუნა
ამოსვარა ტალახში.
მისი შიშით თოჯინას
ვერ ვაძინებ აკვანში,
შემაძულა ბიჭებთან
სახლობანას თამაში.
გოგოების საქმეში
ნეტავ რისთვის ერევა?
აბა, ბიჭი რომ ვიყო,
მაშინ თუ მომერევა!



**

შენ არ იცნობ ნათიას,
თხუპნიას და ალქაჯას?
ნუნუ მასწავლებელმა
ო, რამდენჯერ დასაჯა...
როცა გვძინავს სუყველას,
მაშინ ხტის და ღიღინებს,
როცა ვმღერით, ნათია
სწორედ მაშინ იძინებს.

ხან სულ ტირის — არ მშია...
ხან სულ ტირის — მშიაო.
ვაშლზე ამბობს — მსხალია,
მსხალზე ამბობს — ბიაო.
ხან სკამზე დგას ფეხებით,
ხან მაგიდას აწვალებს,
და თუ რამე გაუტყდა,
სულ გოგოებს გვაბრალებს.
როცა სჯიან, ზლუქუნებს,
უსივდება თვალები:
— ნუნუ მასწავლებელო,
თქვენ კი გენაცვალებით,

აი, მაშინ დამსაჯეთ,
თუ ვიცელქო მეორედ,
გეფიცებით თოჯინას,
აღარ გავიმეორებ.
და მიცემულ პირობას
უცებ გადაივიწყებს.
ეჰ, იმ საწყალ თოჯინას
სულ ტყუილზე იფიცებს.

**

ჩვენს ჯგუფელებს, მედიკო,
ყველას უყვარს თემური,
გეფიცებით, მეც მიყვარს,
მაგრამ მაინც ვემდური.
დიდი მოყვარულია
ვაშლის, ატმის, ალუბლის,
მაგრამ არც ბაღს, არც ბოსტანს
არასოდეს არ უვლის.
მოუვლელმა ბოსტანმა
როგორ მოგვცეს ნაყოფი?
ერთხელ მაინც მორწყავდეს
სტაფილოს ან კარტოფილს.
ჰოდა, ჩემო მედიკო,
გამამტყუნე ამაში,
გაგონილა მთელი დღე
ომობანას თამაში?
თოფს მიმიზნებს, მიყვირის:
— ფეხზე რატომ დადიხარ?
ბახ, ბუხ, ბახ, ბუხ, მოგარტყი,
წაიქეცი, მკვდარი ხარ.
აბა, შემომეცალეთ,
გმირი ვარ და მამაცი... —
მაგრამ გმირი კი არა,
არის დიდი ზარმაცი.

დოდოს იცნობ, პრანჭიას?
არ იკარებს არავის,
თანაც მატყუარაა,
რა მაქვს დასაფარავი!
ვინმე თუ გაეხუმრა,
ანდა რამე შებედა,
წამსვე წაცუნცულდება
ნუნუ მასწავლებელთან:
— ნუნუ მასწავლებელო,
ლიამ წყალი დაღვარა;
გიამ თხილის ნაჭუჭი
პირსაბანში ჩაყარა.
ნუნუ მასწავლებელო,
იცით, რა ქნა ნათიამ?
სათამაშო ბაჭია
ცალი ფეხით ათრია.
ნუნუ მასწავლებელო,
ენას მიყოფს მანანა!
გიგიმ, მასწავლებელო,
დაამტვრია მანქანა! —
ალბათ უნდა მთელი დღე
ვისხდეთ განაბულები,
მაგის შიშით, მედიკო,
ვერ ვეშმაკობთ სრულებით.

ჩემზე აბა რა გითხრა,
შენც კი იცი, დაიკო,
„ოქროს გოგოს“ მეძახის
დედიკოც და მამიკოც.
— მუსიკა და სიმღერა
ეხერხება თავიდან,
ნიჭიერი ბავშვია, —
ასე ამბობს მამიდა.
ოლონდ რამე ვინატრო,
მამა ხელად გააჩენს,
მარტო ბებო ბაბალე
უჯავრდება მუდმაჩქმს.

— ხვეწნად ნუ გადიქეცით,
ჭამოს ბავშვმა თავისით,
ღმერთო, ამას რას ვხედავ,
ბარემ თავზე დაისვით. —
ალბათ მიტოს ბრაზდება
ჩემზე ბებო ბაბალე,
მურაბას რომ ვიპარავ,
მუდამ მაგას ვაბრალებ.
ისე სულაც არა ვარ
უზრდელი და უხეში,
მერე რა, თუ ხანდახან
ჩემით ვდგები კუთხეში!



**

პირველად რომ მივედით
ბაღში მე და დედიკო,
ვაი, როგორ ვიტირე,
რომ იცოდე, მედიკო.
ნუნუ მასწავლებელმა
ჯერ ჩამისვა კალთაში,
მერე დამალობანას
წამოვიწყეთ თამაში:
— ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი, და...
ნუნუ მასწავლებელი
გა-ვი-და...



ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი, და...
საყვარელი დედიკოც
გა-ვი-და...
მე თვალები დავხუჭე,
ეს იყო და ეს იყო,
როცა თვალი გავაღე,
აღარ იყო დედიკო...
ჯერ ვიტირე, ვიტირე,
მერე ბევრი ვიცინე,
როცა გული ვიჯერე,
დავწექი და ვიძინე.
დედას აღარ მივტირი
უკვე დიდი ხანია,
ნუნუ მასწავლებელთან
ისე მიმიხარია!..
რამდენ თამაშს გვასწავლის,
ლექსებსა და სიმღერებს,
ხან კუთხეში გვაყენებს,
ხანაც წკეპლებს გვიღერებს.
ხან თაფლივით ტკბილია,
მაგრამ, შენ გენაცვალე,
ხან ისეთი ავია,
ბებოსავით მაწვალებს.

— ძაღლთან ახლოს ნუ მიხვალ!
ხელით რატომ ეხები?
— აბა, თითი პირიდან!
— გააჩერე ფეხები!
— სხვის პირსახოცს ნუ ხმარობ!
— ნახე შენი ალაგი!
— ხორცი რატომ დატოვე!
— გაათავე კარაქი!
— არ იჩხუბოთ, ბავშვებო! —
ზის და თვალს არ გვაცილებს.
როცა არ გვეძინება,
სწორედ მაშინ გვაძინებს.
რა ძნელია ამდენის
მოთმენა და ატანა,
გაგონილა ყოველდღე
საპნით პირის დაბანა?
მაგრამ მაგას არ ვამბობ,
ჯავრიც არ მაქვს მაგისი,
შეიძლება ყოველდღე
კბილის ხეხვა ჯაგრისით?.
ნინო გამგე, ექიმი,
ნუნუ მასწავლებელი,
მზარეული, მებაღე,
კლასის დამლაგებელი:
— გაიხეხეთ, ბავშვებო! —
ერთად გვეჩხუბებიან...
რა კარგია, კბილები
რომ არა აქვს ბებიას.
ხომ ასეთი ქალია,
მაინც გვიყვარს ძალიან,
გაჯავრება რომ იცის,
ალბათ ჩვენი ბრალია.

**

კინო, ცირკი, თეატრი
ალბათ გაგიგონია,
იქაც ხშირად ვბრძანდებით,
სულ ბაღში ვართ გგონია?
დაგვაწყობენ წყვილ-წყვილად,
საბავშვო ბაღს გავცდებით
და მივდივართ ქუჩაში,
როგორც ჯარისკაცები.
ყველა გადასასვლელზე
მწვანე შუქი ენთება,
ჩვენ რომ გავალთ ქალაქში,
მოძრაობა ჩერდება.
ძია მილიციელი
ჯოხს აუწევს მანქანებს,
ამის შემდეგ მანქანებს
ვერავინ გააქანებს.
მერე განა ცოტანი,
თითქმის ოცდაათნი ვართ,
ჩვენ ტრამვაით ყოველთვის
უბილეთოდ დავდივართ.
ასე ხშირად ვსეირნობთ,
პატარები ქალაქში
და თეატრში ვერთობით
თოჯინების თამაშით.



ერთხელ კინო გვაჩვენეს,
გავიგუდე სიცილით,
ერთ ოთახში ცხოვრობდნენ
მელია და წიწილი.

იმ დღეს კიდევ კინოში
იცი, რა გამიკვირდა?
თაგუნია ფისოსთან
სახლში სტუმრად მივიდა.



ზღარბმა სნეულ ბაჭიას
გაუკეთა ნემსები,
ჩხიკვმა ციყვს და კოდალას
წაუკითხა ლექსები.


მერე ერთმა დათუნამ
მხარზე შეშა გაიწყო
და ნამდვილი კაცივით
ლაპარაკი დაიწყო.
ასე ლაპარაკობდნენ
ძაღლიც, ტურაც, მგლებიცა,
მერე... მერე არ მახსოვს...
გვიან გამომეღვიძა.

**

„მუშტაიდი“ გინახავს?
არა? — შენზე ახია,
არც კი იცი, რა კარგი,
რა ლამაზი ბაღია.
ჩვენი მატარებელი
ნუთუ არ გაგიგია?
ბილეთებზე ყოველთვის
ისე დიდი რიგია...
წითელქუდა მორიგე
დადის, წესრიგს ამყარებს,
ხან ცელქ მგზავრებს უწყრება,
ხან მეისრეს აბარებს:
— შეამოწმე ხაზები!
— წესრიგშია ბაქანი?
— თქვენ ვინ გნებავთ?
უფროსი?

წამობრძანდით, აქ არის. —
უფროსთან რომ ყველანი
მოწიწებით მიდიან,
შენ გგონია, ძიაა?
ჩვენზე ცოტა დიდია.
არაფერი სჯობია,
ვფიცავ, ამის ყურებას,
მთელ გზას პიონერების
რაზმი ემსახურება.
ჰა, გავედით ბაქანზე
და ვაგონთან მივედით,
ერთმა ციცქნა გოგონამ
გამისინჯა ბილეთი.

ორთქლმავალი მზად არის,
ყვირის, ქშინავს, ცახცახებს,
და სადგურის რადიო
რიხიანად აცხადებს:
— ჩვენი მატარებელი...
პლატფორმაზე გავიდა,
დაიძვრება ერთ წუთში
პირველ ლიანდაგიდან. —
ჩქარობს ხალხი, მიათრევს
სკივრებსა და ლოგინებს.
— ამხანაგო მგზავრებო,
გაუფრთხილდით თოჯინებს! —
დაუსტვინა მორიგემ...



ხვევნა, კოცნა, ალერსი!..
აირია ბაქანი,
არაფერი არ გვესმის.
— დამიკოცნე ჩვენები...
— გადაეცი ბარათი...
— მოიწერე...
— მშვიდობით...
— მოგვიგონე...
— ნახვამდის



მიჰქრის მატარებელი,
მიგვაქროლებს პატარებს;
ჩვენო მატარებელო,
გვატარე და გვატარე!
ჩუქ, ჩუქ, ჩუქ, ჩუქ,
მივფრინავთ,
გუგუნებენ ბორბლები:
— მოემზადეთ, მგზავრებო!
— ჩამობრძანდით!
— მოვედეთ!

ზოოპარკშიც დავდივართ,
ტყის ცხოველებს ვეცნობით,
მაიმუნებს ვაბრაზებთ,
ვიცინით და ვერთობით.
მაიმუნი პრანჭია,
სახე დაუმანჭია,
დარბის, დარბის, ქაქანებს,
საქანელას აქანებს;

რასაც მისცემ, აფუჭებს,
გვესვრის თხილის ნაჭუჭებს;
რა სუფთაა, რა სუფთა?!
თავზე იყრის ნასუფრალს.
ქცევა აუტანელი,
ხელპირდაუბანელი,
ბაძია და წუნია,
მართლაც მაიმუნია.
რომ არ ვამბობ არაფერს,
შენ გგონია არა მწყინს?
დედიკო რომ ხანდახან
მაიმუნოს მეძახის!

სოფელში რომ ბევრია,
აქაცა ჰყავთ მელია,
შენ კი იცი, მელია,
რარიგ საძაგელია.
ო, რამდენი დედლის და
მამლის სისხლი დალია!..
აქ ამ ქათმის ქურდებით
სავსე არის გალია.
გახსოვს, ჩიტი ჩიორას
ტირილი და გოდება?
სულ ცრემლები მახრჩობენ,
როცა მომაგონდება.
აქ თავს იკატუნებენ,
არ არიან მადაზე,
ზოოპარკის გალია
ახი არის მაგათზე.

**

სპილო ხომ გაგიგია?
მთაზე უფრო დიდია,
ცხვირის ნაცვლად, მედიკო,
წინ ხორთუმი ჰკიდია.
ვაშლი, პური, შაქარი
იმით მიაქვს ხახაში,
უყვარს ჩვენი ყურება,
სიცილი და თამაში.
ერთხელ სულაც არ შერცხვა,
არც კი მოიბოდიშა
და ხორთუმით სუყველას
თავზე წყალი მოგვიშვა.

დაგვასველა, გაგვწუწა,
წაგვამწარა სტუმრობა,
გეფიცები, ხანდახან,
სულ არ იცის ხუმრობა.
ისე მუდამ წყნარია,
დინჯია და მშვიდია,
მიყიდიდა მამიკო,
მაგრამ ძლიერ დიდია.





**

კუზიანი აქლემი
არასოდეს გინახავს?
ამბობენ, რომ კუზებში
წყალს და საჭმელს ინახავს.
კუზში საჭმელს რა უნდა?
ჩემო კარგო, არადა...
საწყალს ალბათ არა აქვს
განჯინა და კარადა.
კენჭები თუ ესროლე,
ცოტა თუ შეაწუხე,
ვითომ არაფერია,
ისე შემოგაფურთხებს.
მერე რა, რომ მთასავით
გაზრდილა და გრძელია,
მე თუ მკითხავ, ნამდვილად
დიდი გაუზრდელია.

**

იქით მთელი მხეცების
მეფე — ლომი ღრიალებს,
თუკი ახლოს მიხვედი,
თვალებს დაგიბრიალებს.
კბილებს გააკრაჭუნებს,
ტორებს დაჰკრავს გალიას,
ჩვენ კი არა, დიდებსაც
ეშინიათ ძალიან.
ახლოს არვის იკარებს,
არავის სცნობს სრულიად,
ამიტომაც თამაში
ლომთან აკრძალულია.

**

ლომის გვერდით ვეფხვია,
ისიც მტაცებელია,
სულ კატას ჰგავს, მედიკო,
კატასავით ჭრელია.
ვეფხვსაც, ლომის არ იყოს,
სულ არ უყვარს ბავშვები,
არც ვეფხვია, თუ მკითხავ,
სახლში შემოსაშვები.



**

შველის არ მეშინია,
წინ ბალახი უყრია;
იქვე რომ დაკუნტრუშობს,
პაწაწინა ნუკრია.
შენ გგონია, ვეფხვივით,
მისვლის ნებას არ მომცემს?
ერთხელ მოვეფერე და
შიგ ტუჩებში ვაკოცე.
ვერ დატკბები ვერასდროს
შვლის და ნუკრის ყურებით,
როგორა აქვთ, თუ იცი,
დაცქვეტილი ყურები!
ასე ნაზი ცხოველი
ზოოპარკში არც კია,
ჩვენს ბეკეკას ჩამოჰგავს,
მაგრამ უფრო კარგია.



**

დათუნია ყველას სჯობს,
ბანჯგვლიანი დათუნა,
მუდამ გვებურტყუნება
მე, დოდოს და ხათუნას.
ცეკვაც იცის, თუკი სთხოვ,
თუმცა თხოვნა რად უნდა,
— ტაში, ჩემო დათუნა!
— დაუარე, დათუნა!
ისე მიყვარს, მედიკო,
სულ მის ცქერას ვუნდები,
რამეს რომ არ მატკენდეს,
გულში ჩავეხუტები.

**

როცა დავიქანცებით
სირბილით და თამაშით,
მოვუსხდებით მაგიდებს,
ლამაზ წიგნებს გადავშლით...
რას იცინი, არ გჯერა?
თუ არ გჯერა, იკითხე,
იცი, გუშინ რა დიდი
წიგნი გადავიკითხე?
ეჰ, რას ნიშნავს, მედიკო,
ჩვენს ბაღში რომ არა ხარ,
ნეტავ ჩემი კითხვა და
ანგარიში განახა!

იქნებ ესეც არ გჯერა?
აბა, ჰკითხე ნათიას,
ორჯერ ორი ოთხია,
ორჯერ ხუთი — ათია.
ცხრა და ორი... დამაცა...
წიგნში როგორ წერია?
ახლავ გამახსენდება
ცხრა და ორი ბევრია...
მიმატება, გაყოფა,
გამრავლების წესები,
ეს ხომ ვიცი, თუ გინდა,
ახლა მკითხე ლექსები.



— „შემოდგომა“, „ზამთარი“,
„სკოლის ზარი გვეძახის“
„ყვავო, ყვავო, ყვანჩალა“,
„თხამ შეჭამა ვენახი“...
სულ გამოთქმით ვისწავლე,
არა გჯერა, არა, ხომ?
გინდა გითხრა ზეპირად?
უჰ, თავიდან არ მახსოვს,
არ იფიქრო მინდოდეს,
შენთან თავის შექება.
სკოლაში რომ ვისწავლე,
სულ ხუთები მექნება.
ჩვენი ბაღის ამბები
რაც გითხარი, ეს იყო,
ნუთუ ამის შემდეგაც
არ ჩამოხვალ, მედიკო?
პასუხს ველი, მომწერე,
რას აკეთებ, სადა ხარ,
გახსოვს, იქ რომ დამპირდი:
„წერილს მოგწერ ხანდახან“.
თუკი წერა არ იცი,
მისთვის არ მწერ წერილებს,
აიღე და ჩემსავით,
დედას დააწერინე.
მაგრამ, შენგან, დაიკო,
არაფერიც არ მომდის,
მომიკითხე ბოჩოლა,





უეჭველად ჩამოდი.
არ მოგაკლებ არაფერს
ცირკს, კინოში წაყვანას,
ათასჯერ და მრავალჯერ

გკოცნი, შენი მანანა.

სარჩევი

ქეთინო..... 4
მამალი.. 6
გოჭები.. 7
გეკეკა..... 8
ყვინჩილა..... 9
ფისო..... 10
თოჯინა..... 11
ექიმი..... 12
ავადმყოფი.. 13
საათი..... 14
ვარადა.. 15
ძმური სამსახური..... 16
კრუხი..... 17
სახლობანა..... 18
ნოდარიკოს სტუმარი..... 19
ნაძვის ხის სიმღერა.. 20
დღეობა.. 21
დედიკოს ვფიცავარ 22
ბურთი და ნიკორა 23
მელა და ქათამი 24
ია 25
ქალაქი და სოფელი.. 26
ფუტკარი.. 27
ქეთინო, გამოიცანი!.. 28
გაზაფხულო, ღამაზო..... 29
საახალწლო.. 30
ლიმონათი..... 31
სათვალე.. 32
საწყალი ბაბუა.. 33
შაშვები..... 34
ფისო..... 35
ავტობიოგრაფია.. 36
ჩოჩორი.. 37
ბებერი მწევრისა და ტრაბახა კურდღლის გასაუბრება..... 38
ნემსი..... 39
ტელევიზორი..... 40
შეჯიბრი..... 41
მგელი, ბატკანი და მურია..... 42
ხანძრობანა..... 43
მანანა და ლალი 44

ნანა.. 46
ბალი.. 47
ზამთარი.. 48
სამდურავი.. 49
სტუმარ-მასპინძელი.. 50
ბიჭი, ძაღლი და ბეგია.. 51
პრანჭიები.. 52
ვაი დედასა!.. 54
დათუნია.. 55
ლელას და ნიშა ხარის გაბაასება.. 56
ნოდარიკოს გასაჭირი.. 57
ქურდგაცაცა ბაჭია.. 58
მაჩვი.. 59
თაგვი.. 60
ბუა.. 61
ლოთი.. 62
ხულიგანი.. 63
ნუგეში.. 64
გაუგებარი ლექსი.. 65
ერთმა პატარა გელურამ.. 66
გუგულის საყვედური.. 67
ნამდვილი აბავი.. 68
მამუკა.. 69
ქურდის ქურდი.. 70
ქეთინოს გაფთები.. 72
სარფელი მეთევზე გავშვების სიმღერა.. 74
მღერიან თუშის ბიჭები.. 76
გაყაყისა და ქეთინოს გასაუბრება.. 78
იავნანა.. 79
ქეთინოს ვედრება მზისადმი.. 80
სილამაზე.. 81
შეჯიბრება საღორიის ტყეში.. 82
კვიცი.. 85
იხვი და მამალი.. 86
მაწონი.. 87
დათუნიას მოსაწვევი ბარათი.. 88
არწივის ბრძანება №1.. 90
გაზაფხული.. 91
მანანას წერილი.. 92

ნოდარ დუმბაძე

აბა დელია დელია
საბავშვო ლექსები

მხატვარი **აკა გოიაშვილი**

მთავარი რედაქტორი	მაია მალაციძე
ტექნიკური რედაქტორი	ფერიდე ლაბაძე
კორექტორი	ხათუნა კლაუ
კომპიუტერული უზრუნველყოფა	გიორგი ჩიქვინიძე

საგამომცემლო სახლი „ტრიასი"
მის: თბილისი, რობაქიძის გამზირი 7.
ტელ: 51 52 06
www. triasi.ge
E-mail: info@triasi.ge